

იუმორის გ. ჟურნალი



აშაპიკი პატრონი



№ 14

საქ. ცენტ. ქარ. ამხ.



„საქართველოს“ „გმირები“

დ. კახელის მეოხებით „საქართველოს“ რედაქციაში ჩვენი მამულის უწარჩინებულესი გმირები მოგროვდნენ და თანაც დროს შესაფერი სამხედრო დისციპლინა დამყარდა.

— აბაა, დაა იიი წყეთ!

გასძახა დ. კახელმა და მთელი შედიდული გმირებისა ერთ კაცსავით დაემხო ახლად შეძენილ სატახტო გაზეთის ფურცლებზე დებ. კარლო ჩხეიძის სიტყვას.

— გაბაშვილო! შენ ხ-ანზე ეძებე, იქნებ საქართველო იყოს ნახმარი.

— მესმის, ბატონო!

— ბორჩალოვლო! შენ ი—ნზე დასძნნე იქნებ „ივრია“ ეწეროს, გახსოვდეთ, რომ ესეც ჩვენი სამშობლოს სახელია.

— მესმის, ბატონო!

— კასრადე! შენ გ-ანზე აავლ-ჩავლე თვალი. ვინ იცის იქნებ „გრუზია“ იყოს ხმარებული.

— განზე სად იქნება, ბატონო. აქ სხვა წერილებია!

— „ვარსკლავის მომიჯნავე“ ქალაქში მოგზაურობას თავისი კვალი დაუსომს შენთვის, ჩვენო სიამაყევე! დაუფიქრდი ჩემს ბრძანებას.

— მესმის, ბატონო.

— ამირჯიბო! შენც გ—ანს დააკვირდი, იქნებ „გურჯისტანს“ გადაეყარო. ესეც ჩვენი მამულია.

— მესმის, ბატონო.

— შენ ქ—ედია! შენც გ—ანს მიაქციე ყურადღება, ვინ იცის, იქნებ „გეორგია“ იყოს ნახმარი.

— მესმის ბატონო.

— ჩხირიიი წინ!

გვირებმა სპიჩკის ღერები ისეთის სისწრაფითა და მოხდენილობით გავლ-გამოავლეს შავ რახმებათ დაწყობილ პუკარებს, რომ გულს სიახე მოეფინა და ჩემს თვალწინ აღსდგა საომრად დარაზმულ ჩვენ წინაპართა გააფთრებული იერიშის არჩილი.

— სჩანს ჯერ კიდევ არ მოაღუნებულა ქართველის მარჯვენი შეთქა, განევილე გულში.

ასინი, გმირები, კი სტრიქონს სტრიქონზე აწვედნენ, მუსრადდენ და ჰკაფადენ. მხოლოდ აქა-იქ თუ შეჩერდებოდა მათ ხელში მოეღვარე სპიჩკის ღეროები.

— ლალატი!

მრისხანეთ დასტეპარევაზო გაბაშვილმა, რომელიც სხვებზე ხელ-მალი და მეტი ტემპერამენტის პატრონი აღმოჩნდა.

ის პირველი გაიჭრა წერილის ბოლოში და ხ-ანზე საქართველო ვერსად აღმოაჩინა.

— გაგვიდეს!

დასტყივლა მ. ბორჩალოვლმა. ივერიის ხსენებაც არსადა სჩანს.

— მამულს ყელი გამოსტრეს!

საზარელი ხმით დაგრგვინა დ. კასრადემ.

და ასე ერთი მეორის მოყოლით ვაისმობდა დარბაზში გულის შემზარავი და გრმნობათა აღმგზნები ყვილი გმირებისა. აღელვება იმ ზომამდე ავიდა, რომ მოსალოდნელი იყო სპიჩკის ღეროებით აღტურვილთა ქუჩაში გამოჭრა და რომელიმე ს. დემოკრატისათვის დედის შეგინება.

ღმერთმა უშველოს ისევ დ. კახელს და მის რკინის დისციპლინას.

— სიიი-წყნააა-რეეეე!

დასტყივლა მან და დარბაზში კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— მეგობრებო! განავრძო დ. კახელმა,—ჩვენს ღირსებას არ შეეფერება ლაჩრული დუმილი. საქიროა დებეშა.

— აი ბატონო!

— აი ბატონო!

— აი ბატონო!

გაისმა დარბაზში და ყველამ ელვის სისწრაფით ამოიღო ჯიბიდან საპროტესტო დებეშის დენი.

— რევაზ გაბაშვილო! თქვენ პირველმა ამოიღეთ ქაღალდი, წაიკითხეთ.

რევაზ გაბაშვილი კითხულობს:

— ჩვენ აღშფოთებულნი (წაშლილია) ჩვენ სამინლად გაბრაზებულნი (კიდევ წაშლილია) უზომოდ აღშფოთებულნი და ბრაზმოსულნი (ესეც ხაზგადასმულია) აღნაშფოთარნი და აღნაბრაზებნი თქვენის. (წაშლილია) გულ განრისხებულნი ზოხლით. (გადაშლილია) უკიდურეს მწვერვალამდე გააფთრებულნი თქვენი აღსაშფოთებელი... (წაშლილია) საქართველოს სახელით აღშფოთებულნი და გულ-განრისხებულნი ჩვენ ლაჩრული... (წაშლილია).

— მშვენთერია! მეგობრებო, საქიროა ვიცოდეთ მზადა ვართ მოსალოდნელი გამოვლენებისათვის, თუ გეჭირია კიდევ სმზადისი. რუსეთ-გერ-

მანის ომმა ყველასათვის თვალსაჩინო გაჰხალა, თუმცა მე ეს უწინაც ვიცოდი, თუ წინასწარ მომზადებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს. გმირობასა და გაბედულებას ჩვენ თვით ბრძოლის დემოტიკ ვერ დაგვიწუნებს, მაგრამ მზადებ ამანც საჭიროა. მეგობარო რევაზ! იარაღი ბევრი გვაქვს.

— ხუთი რევოლვერი უკვე გავთალე ბატონო ჩემო; სამს კიდევა ვილი. ეს ოხერი ჯოხები გაჭირდა, თორემ ამდენ ხანს ერთი დუქანი მაინც შექნებოდა მზათა.

— ჩინებულთა! კავალერიის საქმე როგორ არის მეგობარო დავით კასრაძე!

— საუცხოვოთ, ჩვენო სიამაყე! ამ წინაზე ჭიზიყში გეახელი, სადაც ფარული მოლაპარაკება მქონდა „ვირუტებთან“. შეიდი ცალი უკვე დავიკვეთე ჩვენთვის და ერთ-ორს ბარგისათვისაც ვიშოვნით. გარდა იმისა, რომ ეს ცხოველები მომთმენი და ჯიუტნი არიან, მათი სიმღერაც ჩვენთვის სმენის მომხიბლავი და მტერთათვის თავზარდამცემია.

— გმადლობ საქართველოს სახელით დირსეულო მაჟულიშვილო. ვხედვ ყველაფერი მზათ ყოფილა, მხოლოდ ჯარი არა გვყავს. მაგრამ გმირთათვის ჯარი რა საჭიროა გასული წლების ტრადიცია თავდებობა ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებისა. აწ საჭიროა დავიშალოთ. იარაღით ქუჩაში ნუ გამოხვალთ! წიიჩ წა!


ყველამ იქვე საფერფელზე დააწყო თავ-თავისი საქურველი და მზათ იყვნენ ქუჩაში გამოსასვლელათ, რომ დ. კახელმა მოულოდნელათ იკითხა:

— რევაზ გაბაშვილო რა ეწერა ჩხეიძის სიტყვაში!

— არ ვიცი, ბატონო! მე მხოლოდ ს-ნს ვეძებლი.

- მე ი-ნს ვეძებლი!
- მე გ-ანს ვეძებლი!
- მეც გ-ანს ვეძებლი!

ეშმაკი.



ცხენს ვიხნოვ, ქვას ვიხნოვ, კაცს ვიხნოვ.

(ოსმალური ლეგენდა)

იმ დროს, როდესაც ოსმალოებმა ფეშა მოკიდეს ევროპის ტერიტორიაზე, ამასქა და ქლოურ სულთანს მოახსენეს, რომ ერთი კაცი დადის სტამბულის ქუჩებში და გაიძახის: „კაცს ვიხნოვ, ცხენს ვიხნოვ და ქვას ვიხნოვო. ასე დილიდან საღამომდის დადის და ერთს და იმავეს გაიძახისო. სულთანმა ბრძანება გასცა ის კაცი მასთან მოეყვანათ. რამოდენიმე წუთის შემდეგ, სულთანის წინაშე იდგა შუა ხნის, ახოვანი, მოხდენილი კაცი და თავდხრილი სალამს აძლევდა.

— სადაური ხარ? ჰკითხა სულთანმა.

— ყარიბი ვახლავარ. უბასუხა უცნობმა და წელში გაიშარათ.

— შე გავიგე, რომ შენ ქუჩებში გაიძახი:— კაცს ვიხნოვ, ცხენს ვიხნოვ, და ქვას ვიხნოვო. მართალია ეს?

— მართალი ვახლავთ დიდო ხელმწიფე! კაცს ვიხნოვ, ცხენს ვიხნოვ და ქვას ვიხნოვ, მოახსენა ყარიბმა და სულთანს უფრო გაბედულათ შეხედა.

— მაშ თუ ასე გამოიცანი ჩემი ცხენი რა ჯიშის არის. მხოლოდ კარგათ დაფიქრდი უბედურო, თორემ თუ შესცდი, იმ წუთში თავს მოვაკრევენებ, უბრძანა სულთანმა და ყარიბი ეზოში ჩაიყვანა, სადაც იმისი საუკეთესო მერანი გამოეყვანათ. ყარიბმა ცხენი აათვალ-ჩათვალა, გავაზე ხელი გადაუსხვა და სულთანს მოახსენა:

— დიდო ხელმწიფე, ეს ცენი საუკეთესოა ყველა ცხენებში, მაგრამ... კამეჩის ჯიშისა არის და მიიყვან თუ არა წყალზე მაშინვე შიგ ჩაწვება.

სულთანი ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა, ცხენი შეაკაზმინა, შეაჯდა და მახლობელ წყალში ჩაიყვანა. შევიდა თუ-არა ცხენი წყალში, მაშინვე შიგ ჩაწვა. სულთანი ახლა დარწმუნდა ყარიბის სიმართლეში და ბრძანება გასცა: მისთვის ბინა მიეცათ და დღეში ერთი ხელი საქმელი და ერთი პური ეძლიათ. შემდეგ მიუბრუნდა ყარიბს და უბრძანა.

— ახლა ამა ეს ქვა გამოიცანი, რა ქვაა, ან რა ღირსებისაა, და მტრედის კვერცხის ოდენა გა-

თლილი ბრილიანტი მაგიდაზე დაუღო. ყარბმა ქვა ხელში აიღო კარგად დაათვაჩიერა და სულთანს მოახსენა.

— დიღო ხელმწიფევ, ეს ქვა როვორც ხედვით საუკეთესო ბრილიანტი არის და მასთან ისეთი ხელოვნებით არას ნათალი, რომ ფასიც არ დედება, მაგრამ... ყველა ეს გარეგნულია, შიგნით კი უბრალო, შავი ქვა სძევს და ბრილიანტი მხოლოდ გარშემო ასხია. ამ სიტყვებმა სულთანი მეტათ განარისხა.

— რას ამბობ ყარბო, ეს ქვა მე ვევიპტის სულთანისაგან მაქვს ნაჩუქარი და ყალბი როგორ იქნება. მე მაგ ქვას ეხლავე გასტეხ და თუ შენი სიტყვები ყალბი გამოდგა, ჩემი ხელით მოგაკეთ მაგ ცოდვილ თავს.

— თქვენი ხმალი, ჩემი კისერი, მიუგო ყარბმა და არხენათ დააცქერდა სულთანს, როდესაც ეს უკანასკნელი ძვირფას ბრილიანტს ამტვრევდა. სულთანის განცვიფრებას საზღვარი აღარ ქონდა, როდესაც ბრილიანტიდან უბრალო შავი ქვა გამოვარდა.

— შენ მართალი გითქვამს ყარბო, ბრძანა სულთანმა, და ასეთი გამოცნობისათვის მე, შენ გინიშნავ დღეში ორჯერ საქმელს და ორ პურს. ყარბმა მიდღობა გადაუხადა და წასვლა დააპირა, რომ სულთანმა ხელით ანიშნა დარჩენილიყო. ყარბი შესდგა და სულთანს თვალებში ჩააცქერდა.

— კიდევ რას მიბრძანებთ დიღო ხელმწიფევ.

— შენ ცხენი და ქვა გამოიცანი, ახლა ისიც უნდა გამოიცნო თუ მე რა კაცი ვარ.

— დიღო მბრძანებელო, მაგის გამოცნობა ჩემთვის ადვილია, მაგრამ თქმა კი ძნელი.

— რისთვის? მრისხანებით შეეკითხა სულანი და ყარბს თვალებში ჩააცქერდა.

— თქვენი განრისხების მეშინია მბრძანებელო.

— სთქვი, ნუ გეშინია მე ცუდს არას გაკადრებ.

— პატიოსანს სიტყვას ვითხოვ რომ არ დამსჯი?

— გაძღევ, უბრძანა სულთანმა და ცნობის მოყვარეობამ უფრო ააღელვა.

— მაშ დამიფიცეთ დიდებულო, მოკრძალებით წარმოსთქვა ყარბმა და სულთანს მიაშტერდა. სულთანი ისე იყო საკუთარ ფიქრებში გართული რომ აღარც-კი ვისმოდა ყარბის სიტყვები. ის იგონებდა თავის წარსულს და ანგარიშობდა თუ რა ჩაუღწია მას ისეთი სამძიპო, რომ ყარბს იმის თქმისათვის ფიცის ჩამორთმევა დასჭირდა, მაგრამ,

მან ასეთი ვერაფერი ვერ იპოვა თავის განლილ ცხოვრებაში.

— ვფიცავ ალაჰს! თითქმის ინსტიქტიურათ წამოიძახა მან და ყარბს გულის-ძგერით მიაჩერდა.

— დიღო ხელმწიფევ, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ მეტად გულკეთილი და მართალი კაცი ბრძანდებით, მაგრამ...

— სთქვი, სთქვი!

— მაგრამ თქვენ მეფურნის შვილი ხართ.

— რა სთქვი სულელო! როგორ გაბედე მაგის თქმა, წამოიძახა სულთანმა და ყირბისკენ წაიწია, მაგრამ ისევ შესდგა და თავდახრილი ჩაფიქრა.

— მე მაგას გამოვიძიებ და თუ შენი სიტყვები არ გამართლდა სასტიკათ დაგსჯი.

— დიღო ხელმწიფევ, ეს ხომ ძნელი გამოსაკვლევია აბა ვის უნდა ჰკითხოთ, რომ მართალი გითხრას.

— დედას. უბასუხა სულთანმა და სახეზე მოწყენა დაეტყო.

— ვაი თუ დედა თქვენის სირცხვილის დაფარვის მსხვერპლი გავხდე.

— არა, ფიქრი ნუ გაქვს, სიმართლეს აღვადგენ. ბრძანა სულთანმა და თავის კაბინეტში გავიდა.

ორი დღის შემდეგ ყარბი კვლავ იდგა სულთანის წინ და გულის ფანტქალით მოელოდა მის ბრძანებას.

— შენი სიტყვა გამართლდა ყარბო. მე ქეშ-მართად მეფურნის შვილი ვყოფილვარ. რაკი მაშ ჩემი უშვილოთ მოხუცებულა, რომ ტახტი უმეკიდროთ არ, დარჩენილიყო დედა-ჩემი საახლის მეფურნეს დაახლოვებია და მეც იმისი შვილი ვყოფილვარ. მაგრამ ეს უნდა გამაგებო, როგორ გამოიცანი შენ ის თუ მე მეფურნის შვილი ვიყავი და არა ნამდვილი სულანის.

სულთანის სიტყვებით გახარებული ყარბი ეხლა წელგამაგრებული იდგა და არაფრისა ეშინოდა.


— სულ უბრალოდ დიღო ხელმწიფევი-უბასუხა ყარბმა— როდესაც მე ცხენი გამოვიცანი თქვენ მაშინ ერთი ხელი საქმელი და ერთი პური დამინიშნეთ. როდესაც ქვა გამოვიცანი, მაშინ კი ორი ხელი საქმელი და ორიც პური. თქვენ რომ ნამდვილი სულთანის ჩამოვადგომა ყოფილიყავით, ასეთი გამოცნობისათვის უეჭველათ ჩინს და დიდ სამსახურს ჩამაბარებდით და არა პურების ულუფას გამიღიდებდითო.

ვ. იმნაძე.

მშინ ილიუსტრაცია.



გერმანელთა ჰაერობლიანიდან ჩამოგდებული ყუმარის აფეთქება.



სიკვილის გზა.

დეკემბერი.

ფოთი. ჩვენმა სააგენტომ უმავთულო ტელეგრაფით ცნობა დაიჭირა დიდი კუნძულიდან „უტუგრადს“ მიმავალი: „დიდი ხანია უკვალათ დაკარგული დ. გუბელაძე კუნძულზე იმყოფება და ჩვეულებრივ „მოღვაწეობს“ რისთვისაც გაიგზავნა განსაკუთრებული მოხელე და გამოიკვლია შემდეგი: კუნძულზე ერთ ფარულ ადგილას დ. გუბელაძის თაოსნობით დაარსებულია და მოქმედობს „ემიგრანტთა კლუბი“¹⁾ სადაც თავს იყრიან „ემიგრანტები“ დღით საძებნელათ და ღამით „გასართობათ“ და რომელსაც უმთავრესათ კერძო „შემოწირულებით“ ინახავს თურმე ბ-ნი გუბელაძე და დიდ მადლობას უცხადებს ბ.ბ. „შემომწირველებს“ რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ საქმიზა და გადასცეს დ. გუბელაძეს, აი „შემომწირველთა“ სია: ნ. ნორაკიძე 5 მ. ა. გალოგრისა ერთი ვერცხლის საათი. „ეკონომიამ“ 2 მ. 40 კ. ს. კილურაძემ 5 მ. დ. ბოკუჩავამ 5 მ. გ. მარგალიტაძემ 5 მ. ლ. ხუბუამ 5 მ. ნ. არჯვანიძემ 10 მ. ი. ლომთათიძემ 4 მ. 20 კ. ტ. გუნიამ 25 მ. (დამშეულ ქალაქ-დღების სახელით) ს. ო-ძემ 41 მ. („აზრის“-ს რედაქციის სახელით) აგრეთვე მადლობას უცხადებენ „კლუბის“ წევრები ბ-ნი გუბელაძეს ენერგიულ მოქმედებისათვის.

ბუტუნას სააგენტო.

მაკვანეთი დიდი შეტაკება მოხდა თეკლესა და მესაკურთხეთა შორის. მიზეზი ეკონომიურია. მესაკურთხეებს საკურთხი მონაზვნებისთვის უნდოდათ, თეკლე კი მღვდლისკენ ეზიდებოდა. არჩეული იქნა კომისია, რომელიც გამოარკვევს: ვისი შექმნისაკურთხი უფრო არგებს მიცვალებულს— მღვდლისა, თუ მონაზვნების.

იქიდანვე. უკვალოდ დაეკარგა ქირისუფლებს: ყ. კა—ლი, გ. ბყ.—მე და ი. სკ—ა. ტყვეთ წაყვანილი ეგონათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ე. ქ—თან ბანქოს შეექცეოდნენ. სამი დღე ცდილობდნენ ისეთი მიზნის მიღწევას, რომ ყველა მოთამაშენი მოგებულნი ყოფილიყვნენ, მაგრამ არ მოხერხდა და დაიშალენ.

დაწუნებული

¹⁾ ეს „ემიგრანტები“ ყველა ერის და ფერის არიან თურმე და ემალეებიან მევალებებს, ცალ-შვილს, ოჯახს და სახალავათ პირდაპირ მოვალეობას.

ჭიათურა. გაიხსნა კლუბი. ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა თავისუფლად ამოისუნთქა. ფარული თამაში სახიფათო იყო და ისედაც დამწუხრებული გული ვეღარაფრით გაერთოთ.

გორდები.

უჩხუბი. დაარსდა ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადგილობრივი მღვდლის გადადგება. ორგანიზაცია ენეგიულად მოქმედობს. ყუბარების მავივრათ ისერიან ქვეებს, რითაც მღვდელს ჩაუმტვრიეს ფანჯრის შუშები. ბრძოლამ სამ თვეს გასტანა, მაგრამ მღვდლის შტატი (უკაცრავათ შტაბი) უვნებლათ გადარჩა.

ხ. ბზიკაძე.

სუმბათოვო. ინტელიგენტთა მეცხრე წელიწადია ეძებს ადგილობრივი „პარკის“ პატრონს და ჯერაც ვერ აღმოაჩინა.

მეოცდარევე საუკუნის დასრულებამდე გადაიდო სუმბათოვოს ბორჯომიდან გამოყოფის საკითხი, ვინაიდან ჩვენი სოფელი მხოლოდ მაშინ იქნება სრულ საუკუნოვანი.

უცნობი.

ტობანიერი. აქ არსებობს „აფთიაქის მტკრეველთა საზოგადოება“. დამფუძნელ წევრთ: პ. ნ—მეს; ი. ლ—ვას და ადგილობრივ სამმართველოს წევრებს ამ ბოლო დროს ცრატა უმოქმედება ეტყობათ. საჭიროა მეტი ენერგია.

კბილის მატლი.

სუფსა. ერთი წევრი ადგილობრივ სანიტართა კომისიისა შემთხვევით დუქნების უკან გასულიყო და სიბინძურეში სული შეჭხუთოდა. მას შემდეგ ჩვენი სანიტარები მხოლოდ დუქნების წინ ავლჩამოვიღიან ხოლმე ორ თვეში ერთხელ. დუქნების უკანა მხარე, ფურნების ოთახები და სამზარეულოები მათთვის მიუდგომელია, იქ დაგუბებულ სულშემხუთავ გაზების გამო.

მაგენ.

ველისციხე. ადგილობრივ ქსენონი უკანასკნელ დღეებშია. სიცხე ხან აუწვევს, ხან დაუწვევს. მდომდგომარეობა უნუგეშოა. არშაკ ყაზაროვის გარდა მას ქირისუფლობს ადგილობრივი მეაფთიაქე, რომელმაც ქსენონის ავთიმყოფობის დროს მეორე კანტორა დაიდგა ფულუებისათვის.

იქიდანვე. ვინაიდან სოფლის მსაჯულებს კანონის უტოლინარობას უსაყვედურებენ, მათ საბოლოათ გადაუწყვეტიათ აფრიკაში გაემგზავრება და

იქაურ ტომებში გამოცდილების შექენა. ამ კეთილ განზრახვას ეწინააღმდეგება ნხოლოდ მარტო მწერალი. ის ამბობს: - კაცებო ეს ოხერი ჩემი სწავლა განვითარება ძლივს გამოიძეინებია და კიდევ რო შევიძინოთ ამდენ ქუას საღა დავატეოთ.

ჩქიდანვე. ჯოჯოხეთს ერთი ნიგუზალი აკლდამ იტყვიან და ველისციხესაც ასე დამართა. სოხუმიდან დაბრუნდა ვაჭარი, ეშმაკი გოთ. წოდებული.

ობობა

სოფლის ფერშალი.

(შარ ღი ერთ ნოქმედებათ)

ღარიბი გურული გლეხის ბინა. ლოგინზე წევს ავთმყოფი, 18—19 წლის ვაჟი. ავთმყოფის სარეცს უსხედან მნახველები, რომელთა შორის გამოირჩევიან ახალგაზრდა სტუდენტი და ევროპულათ ჩაცმული ადგილობრივი პრავიზორი. ფარდის ახლისას ყველა მოლოდინშია: ფერშალი უნდა მოვიდეს. აინდება თუ არა ფარდა, შემოდის ერთი ბირისუფლოთავნი.

ერთი ჭირისუფლოთავანი. მოვიდა, მოვიდა. (ისევე კარში გაბრუნდება ფერშალის შემოსაყვანათ).

საერთო მოძრაობაა. ყველას კარებისაკენ უბირავს თვალი. ავთმყოფს სახანს უსწორებენ.

მეორე ჭირისუფლოთავანი. (ფატი-ფუცით მოვა მუარე კარებთან და გასძახვის): ფერშალი მობრძანდა, ტაშტი და წყალი შემოიტანეთ... პირსახოცი კიღაე!..

შემოდის ფერშალი, რომელსაც წინ მიუძღვის ერთი ბირისუფლოთავანი. ფერშალი შუა ხნის კაცია. ეტყობა, თავის გარეგნობას ყურსდებებს არ აქცევს. წვერ-ულვაში კაი ხნის გაუკრეპავი აქვს, წვირიანი გახამებული საყელი აქვს, ბანტიანი ძველი გალტუჯით, რომელიც უკან, კისერზე, ამოვარდნია და საყელას ასცილებია, ძველი პიჯაკი, უკან ტყავ-გამოკრებული შარავლი და მაღალ-ყელიანი წაღები. ძველი პალტო აკვია. ხელში მითრახი უბირავს. შემოსვლისას ყურადღებას არავის აქცევს. პალტოს გაიხდის და მითრახს და პალტოს შემომყოფელ ბირისუფლოს აძლევს. შემდეგ სათვალეს გაიკეთებს ცხვირის წვერზე, თვალის ერთი მოვლებით გადასედავს საყველას და ავთმყოფისკენ წავა. გზაში ხელს ართმევს იქ მყოფებს, ისე კი, რომ არავის უყურებს და არც ჩერდება ხელის ჩამოსართმევით, უკეთ რომ ვიქვით, უკან ხელგაშევილი მიდის ავთმყოფისაკენ და მწკრივით დამხნდარი მნახველები ართმევენ ხელს, ვისაც მისი გაშევილი ხელი შეხებდა.

ფერშალი. (თავისთვის) ია, ზნაეტე, დავნო საბირლსა, ზნაეტე, ვაბაშე ზნაეტე... შტო სნიმ... ონ ხალი, ზნაეტე... ვაბაშე ბალნიე პუგაიუტსა,

ზნაეტე... (ამ სიტყვებს გზაში იტყვის, ხელის ჩამოსართმევის დროს. ავთმყოფის ლოგინზე ჩამოვდება, არც კი შესედავს ავთმყოფს, ისე ეგანაჩაკება) ნუ, შტო, ბოლენ? (საბანს გადასდის და ტვირთს უშინჯავს, მაგრამ უსედავს მუცელს და ჭვითხავს) ბალიტ? ბალიტ? სტუდენტი. (შეატეობს, რომ ვერ მისხდა და უთარგმნის) გტკივა?

ავთმყოფი. დიახ, ბატონო! მტკივა.

ფერშალი. და, ზნაეტე, სელეზინკა, ზნაეტე... დაა, სელეზინკა, ზნაეტე.. პაკაუიტე იხიკ?

სტუდენტი. ენა მიჩვენო!

ფერშალი. (ავთმყოფი ენას გამოყოფს) ეშნო... ეშნო! ეშნო... და, ზნაეტე, ელოუდა, ზნაეტე, ზაპერტა ზნაეტე... (თვალებს გაუფართოებს სულით და უტკერის, სისხლნაკლები ხომ არაა) ზამენაეტსა მალიკოვიე, ზნაეტე... (შეგე შესწევს შინჯავს, თათქო არც კი დაწვია, ავთმყოფს დაეკრძნობს მარჯვენა ნიდაკით, ვითომ ჭირკა იყოს და არა ცოცხალი კაცი და სტუდენტს მიაჩრება სათვალის შეკრძან) ნუ... კალდა ვი ბირეხალი?

სტუდენტი. Я уж давно здѣсь, почти мѣсяцъ.

ფერშალი. ნუ შტო, დღინანია დაროვა?... ზნაეტე, ტრუნდო ი დროვა... დაღენო ბიტ, ზნაეტე...

სტუდენტი. Да дорого, но мы, студенты, ѣдимъ экскурсіей.

ფერშალი. კაკ? ჩერეზ კურსკ? და ზნაეტე, ეტო კაროტკია დროვა, ზნაეტე, ჩერეზ კურს, ზნაეტე...

სტუდენტი. Вы меня не поняли... экскурсія—это...

ფერშალი. (მისხდა რომ სასაცილო მდგომარეობაში ვარდება და ავთმყოფის გაშინჯავს უბრუნდება) ნუ კაკ?... დახინტე... ეშნო... ეშნო... დინანტე ხრიბიტ, ზნაეტე... (სტუდენტს) ვი კაკომ კურსე პერეშლი?

სტუდენტი. Я на третьемъ курсѣ.

ფერშალი. პერკუსიო პრაახალიო?... ნა მერტვეცე, ზნაეტე, ტამ, უნივერსტეტე, ზნაეტე?

სტუდენტი. На трупѣ, да, въ анатомическомъ театрѣ...

ფერშალი. ნეტ, ზნაეტე, ნე ტეატრ, ზნაეტე, უნივერსტეტე, უ ვას უმირაიუტ მერტვეცე... (კიდევ ავთმყოფს მიუბრუნდება თავის დასასხედათ) ვოტ, პასლედიტე... პერკუსია ზნაეტე... ვოტ ზღეს (გაა-

ჩუნიებს სვამოფოტეს (გულზე) გოლოს რახლიოტსა, ზნაეტე, ჩემ დალზე ვნიზუ, ზნაეტე, გოლოს პრიტუპლაეტსა, ზნაეტე, პასტეტენო პრიტუპლაეტსა, ზნაეტე... ჩე-ვოტ! (ბარძაყმდე ჩავიდა) სასემ ნესლირზნო, პატამუშტო ზდეს ლოხკიხ ნეტ... ზნაეტე... სვესემ-ნეტ, ზნაეტე... (ავათმოფეს) პე-რვეერიტეს!

სტუდენტი. ვადაბრუნდიო! (ავათმოფოი გადბ-რუნდება; ეფრშადა მსლა ზურგს უსინჯავს და იმეორებს იმასვე, რაც გულსა გასინჯვის დროს სთქვა).

ფერშალი. ვოტ! პრიტუპლენიე, ზნაეტე! (გასინჯავს თავს ხელებს და სტუდენტს უხსნის) პოჩკი, ზნაეტე, ვიხობიტე ინსლიოხისტოი აბალოჩკი, ზნაეტე... კაპილარჩე ვენი პალოპაიტსა, ზნაეტე; ი ნაჩინაეტსა კროვონარკანიე, ზნაეტე... ეტო, დალენო ბიტ; ნა მალარონომ პოჩვე, ილი ნა გემო-რეტორნომ... და, ზნაეტე... ესე მი, გურიიცი, სტრანენე მალარჩე... (გადასვდავს ევვლას და ხამ-მადლს) ვეს! (საზვამით) ბალონი მალარჩე... ვეს! (უცებ ნაცნობს შენიშნავს) უჰ! (სულს ჩამოართმევს) (სტუდენტს) ტეტეკრე მუღსა ციუ პასმოტრიმ... (ავათ-მოფეს მავს დაუტერს, სასთ ამოიდებს და სტუდენტს მიუბრუნდება) ნუ, შტო, კვ უ ვას ვუნივერტეტე? გავარიტ; ვესხ პრინციპიტუტ...

სტუდენტი. Какъ всѣхъ?

ფერშალი. ვსეხ, ზნაეტე... ფელ შკროვ...

სტუდენტი. Нѣтъ, этого я не слыхаль!

ფერშალი. აკა შეე ვადაკორია, ველ პე-ხალს უჩიტსა, ვ უნივერსტეტე... ია ტოჟე, ზნაეტე, ხარე პეხატ...

სტუდენტი. Аа, это на частныхъ курсахъ!

ფერშალი. და, ზნაეტე, ჩასტო პასეშიაიტ ლექციი... და... გავარიტე ტამ ტრუნდო, ზნაეტე, ხიმი ზნაეტე, „ხაშ დვა“ ი ტაკ დალენე... ზნაეტე... (მავს სულს გაუშვებს) პულსა ციუ ტოჟე ზამედლენა, ზნაეტე... ი ვაბშე ბალონი ზნაეტე...

სტუდენტი. Каково ваше компетентное мнѣніе?

ფერშალი. (ვერ მისვდა) კაკ?

სტუდენტი. Ваше компетентное мнѣніе на счетъ большого?

ფერშალი. ნიკაჟი კამეტროვ ი ვაბშე, ზნაეტე, სლაღსტე, ზნაეტე, ნე ნადა დავატ, ზნაეტე... ია ნაპიშუ ლეკარსტო, ზნაეტე, ი დამ, ზნაეტე...

სტუდენტი. Въ какой дозѣ?

ფერშალი. (ვერ მისვდა) კაკ?

სტუდენტი. Дозу, я говорю...

ფერშალი. ლოზა! ეტო, ზნაეტე, კაკე ნი-ბუდ ნოვოე სრედსტო, ზნაეტე, შარლატანსტო... (დასაბრული იქნება)

მარტყოფის საზოგადოებას.

ამ ცოტა ხანში წაიკითხე გულდამწვარ ლუ-კა ქუჩუნელის წერილი (ეშპაკის მათრახი № 9, კვირა ნ ივლისი), სადაც მწუხარებით აღნიშნავდა „იოსება დობტურის“ დაკარგვას. ამის შესახებ მარტყოფის საზოგადოებას შემდეგს მოვახსენებ: აქეთ-კენ (ს. გურჯაანიდანა გვერთ, სიღნ, მახრა) დაი-არება ერთი კაცი მხარზე პატარა ტოპრაკ გადა-კიდებული, რომელიც სხვა და სხვა წამლები ულავია. სახელად ზოგი „ჩაღვადარ იოსებას“ ემა-ხის, ზოგი „სოსიკო ფერშალს“. ეს კაცი მე პირველად ვნახე, მაგრამ ბევრია მისი ხშირად მნ-ხველი. წამლებს ვარიან-ქათმებზედ და ღვინოზედ ჰყიდის. ძვირად აფასებს მეტადრე ერის წამალს: წერილი, ფეტვის ოდენა, მარცვლებია, თეთრი ფე-რისა „სკროფოლოზო“-ს ემახის; მისი სიტყვით, ეს წამალი ყველა ავად-მყოფობასა შეეღის. სხვათა შორის კაცს სხვა და სხვა ცუდს ხასიათის მხარეს უკარგავსო. ეს წამალი შევიძინეთ სამი მისხალი. დაგვიჯდა სამი ჩაფი ღვინო, რომელიც ჩვენი შემ-ნახველ-გამსესხებელ ბანკის გამგეობას უნდა გადა-ვაცლაოთ, იქნებ არგოს ამ წამალმა, საქმეს კარგად მოუარონ, ნათლი მამობა მოაშლონ, ერთმანეთის კინკლაობა და ფულის ქამა. ჰო, იმას მოვახსენებ-ლით, ამნაირი კაცი დაღის აქეთ. თელავიდან მო-დიოდა ამ ეამად, ყველა სოფელი მოვიარეო. თან ურმით ღვინო მოჰქონდა, ოციოდე ქათამიც მო-კავდა, წამლებში შეეგროვებინა. ორი დღე იქნებ: აქედან ალაზნის გაღმა წავიდა, გაუგია იმერელ ოსებში (ცოტა ფერშლებიაო. „ჩაღვადარ იოსება“ შუა ხნისა, შუა ტანისა, წვერი ქალბრა შერთული აქვს, ასე ერთი ცილის სიგრძისა. თვალთ აკლია; წამლებს შინჯვის დროს ცერათ უყურებს. თავზე გახუნებული „კარტუზი“ ჰხურავს, რომელიც ზე-მოდან რგვლად შეათაა გაქონილი ოფლისაგან. ტანზე დაგლეჯილი საზაფხულო პალტო აცვია. ხელში ტარ-მოხრილი ქალბრა უჭირავს. ფეხზედ „პოლსაპოკევი“ აცვია, რომელშიაც ორ-ორი თი-თი უჩანს, შარვისის ტრეტები ჩაშვებული აქვს.

უკეთუ ამ კაცის ნიშნები გეცნოთ, მიიწერეთ ალაზნის გაღმა ერთ-ერთ სოფელში; ან რა მიწერა უნდა, წამლები შემოკლებოდა და მგონი მაინც წამოვა, სავაქროს დასამაზადებლად.

„იოსებას პატიენტი“



ვაჟა-ფშაველა.

ვინც ჩვენ გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებდა და რწმუნებული იქნებოდა, რომ მგოსანი ვაჟა-ფშაველა დღეს თუ არა ხვალ ისევ თავისს საყვარელ მთას დაუბრუნდება და აი ამიტომ, რიუხედავად მისი ავადმყოფობისა მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ.

კვლავ მოსწყდა სამშობლო ცას უდიდესი მნათობი და თითქო სალამოს ბინდი გადაეკრა.

ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი) ჯერ თითქმის შუახნის და ჯან-ლონით სავსე იყო. ის დაიბადა 1861 წელს ღარიბი მებაღეთნის ოჯახში ფშავეთის სოფელ ჩარგალას. სწავლა სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, საიდანაც მალე გადავიდა გორის საოსტატო სემინარიაში, სემინარიის დამ-

თავრების შემდეგ მასწავლებლობდა თავისავე სოფელში. სწავლის სურვილით გატაცებული ვაჟა ჩქარა მოშორდა სოფელს და პეტროგრადში გაემგზავრა. იქ იგი ისმენდა სხვა და სხვა პირთა ლექციებს, მაგრამ ხელმოკლეობამ აიძულა პალე ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მწერლობა ვაჟამ ადრე დაიწყო. მის ნიქს მუღმივი და თანდათან ზრდა განვითარება ეტყობოდა. მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებთა შორის ვფიქრობთ ყველაზე მეტად პოპულიარული „შვლის ნუკრის ნაამბობია“. არა გვეგონია იყოს ვინმე წერა-კითხვის მკოდნე, რომ ეს საუცხოვო ნაწარმოები არ წაეკითხოს და მითი არ დამტკბარიყოს.

2 აგვისტოს ქართველმა საზოგადოებამ დიდებულიათ დასაფლავა დიდუბის ეკლესიის ეზოში, თავისი სახელოვანი შვილი.

ს. ოქროსქედის.

(კურუჯი სტენისებურა)

— ნიკოიას გაუმარჯოს ღმერთმა. როვა ადრე ამდგარხარ კაცო და საპრაზნიკოთაც გამოწყობილხარ!.. სამარგელი გაათავე თუ რაფერაა შენი საქმე?...

— ეეჰ, ყბას ნუ მიქცევ თუ ღმერთი გწამს!.. ჩვენი მაცხონებელი არტენაის ვაღამკიდეს არც სამარგელს აქ ხვაი და არც სათოხავს!.. არ იქნა გაბრიელ, არ შეისვენა მისმა ძირში მისაღობობმა ხელებმა... ყოველ დღე ჩნრეკს რაცხა აბდა-უბდას და ხან ამას ასჴენს და ხან იმას. რამდენი კაცი დასჩაგრა მაგ ღვთის მტერმა და წაახდინა, მაგას წაახდენს მისი გამჴენი...

— კაცო, იმ ხუცის ამბავი ქვეყანამ იცის, მარა ამ ცის იალონზე შენ სად მიეჩქარები?..

— როვა სად მივეჩქარები... იი ოჯახაშენებულები, კატამ რომ კული გააქანოს—იმასაც გაზეთში დასწერენ და ამ ხუცესმა რომ ქვეყანა დაექცია, ამაზე კაცი ყურს არ აპარტყუნებს... ახლა ვინცხა უნდა მოენახო და ყოლისფერი დუღუწიგნო. არაა დასაწერი თუ?!—მაგი წვერგაწეწილი ხუცესი არ იყო, როგორც ამბობენ გოგიას, აღმასხანას და სოლომონას რომ ვადიეკიდა და საშველი არ მისცა, ფშიონობა ქენით, პოლიციას უთხარით ჩვენს სოფელში ხალხი ბუნტობს და ყოველდღე კრებას მართავს და ამიჯა თქვენ ჯამაგირს მოგცემენ და ფულიანი კაცები შეიქნებიითო... მერე... მერე კიდევ რამდენი კაცი გადასახლებია მაგ ღვთის მტერმა, მაგან... ბარე სამი კაცი როვაც ჩივიან აცანაში მოშორდა მის ცოლ-შვილს მაგის წყალობით და ხუთი კილო ბახეში თურმე... მაგი არ იყო ბახეის ხუცესს „უპოკიქულა“ ეფისკაპობთან ბარე ოთხი კაცი სხვაც მიყულოა, რაიო და პარტიის წვერებიო, ქვეყანას აპუნტებენო... ერთი ახლაც დაკარგულია მის წყალობით და სხვებს რაცხა ქი ეშველა ღმერთით... ხოდა, ახლა თურმე კიდევ იმ საცოდავ, უღვთოთ დატანჯულ სარდიონა ხუცესს ციმბილშიც აღარ აყენებს... ჩივიან, ყოველ დღე უგზავნის დანოსებს, ეგება ვადის შესრულების შემდეგ კიდევ არ გამოუშვან და შტატი არ დამეკარგოსო... ერხანს მასავით წვერგაწეწილ ბარნაბას ედავებოდა ოზურგეთის დიდნიოჯის შემწეობით, მარა მოკუქამე შირი ბახველებს—კულ ამოძებული გამოუბუნძულეს უკან. ხოდა, ასე ღვთის პირიდან

გადავარდნილი რომაა აი ჩვენი მოძღვარი-არტენაი—ჰოი, ეშმაკებმა დატენა მისი სული და ხორცი,—არაკაცი გამოჩნდება მაღლიანი, აი მისი ამბავი ასე კაცო—კაცლი რომ ეილოს და გაზეთში ჩამიწეროს!..

— როვა არა, კაცო, შენის არ იყოს ყოლიფერს კი სწერენ იმ გაზეთში და მაი ხომ დღესავით ნათელი ამბავია... მაგის მოწმეთ მეც დაგიდგები თუ კი დაგჭირდება, ჩემო ნიკო!...

ნ. ოქროსქედელი.

გამოცანები.

(ს. რვანი).

დასახლებულ სოფელში არის ერთი მეტი-ჩარა; თავი მსხვილი, ენა გრძელი, მოტრეკტივე წარა-მარა. კარტი უყვარს „დახურული ოთუზ-ბირი“ ან, „კონჩინა“, და თუ ვინმე ეთამაშა, ცარიელს გაუშვებს შინა. ჩარჩობაში პირველია, საწყალ ხალხს გაძრო ტყავი, „საზოგადო მოღვაწე“ ღმერთმა მთხოვა მი'ი თავი. ვინც რომ ამას გამოიცნობს ვფიცავ გაჩვენს, ვფიცავ ზენას, კვირისათვის გაუგზავნი კოხტათ წემწვარ ძოღის ენას.

ბოლოკი.

სიზმრად საიქიომი

(ნესტორ წერეთლის გარდაცვალების 10 წ. შესრულების გამო. ძღვნათ გუბელებს, კუხელებს და სხვ.)

I

ტრახ, ტრახ, ტრახ, ტრახ, ტრახ, არ ვიცი რათა, ჩვენს დიდს მოღვაწეს არ ჰქონდა ზარი, და ჩემი ორი ნაეცი თითით, იძულებული, შეესძარი კარი!.. კარი გამიღო. „მოზრძანდი“, მითხრა, რაზედ გასჯილხარო, გვიბრძანეთ, გვარი?!

— რა საჭიროა ბატონო გვარი!
ჩვენ განვიზრახეთ, რომ ჩვენი ვალი...
— „არა, რის ვალი? რა დროს ეგ არის?!“
— ათი წელია რაც ვარ მკვდარი
და თქვენს საჩივარს, თქვენივე კანონით,
დაკარგული აქვს. მე მგონი, ხანი.
ან რას მიჩივით, მქონდა ხუთასი
კი მართალია, ვინ გიყოთ ვარი,
მთელი მიდამო, სახლი და კარი
იქ, დაგიტოვეთ, თქვენი არ არი?!“
— ბატონო, თუმცა მე დავაღებთ
აქ არ მოვსულვარ მოგთხოვოთ ვალი,
მაგრამ, რადგანაც თვითვე ინებე,
ნება მომეცი გითხრა მართალი.
— „ბრძანეთ, ოღონდ ყოველი სწორი,
თორემ მკაცრია აქ სამართალი!“
— რაც თქვენ მოგვზორდი, აი იმ დღიდან,
ჩვენ იმ ვალისა არ ვიცით ძარბა;
მთელი ქონება უძრავ მოძრაოვ,
მემკვიდრეებმა მყის ჩაიბარა,
და ხალხი, ხალხი „შენი სიცოცხლე“,
დარჩა იმედის მხოლოდ ამარა!
— „იქნებ არ სთხოვეს?“ ეხლა მოსთხოვეთ!“
— თხოვნით ბატონო კი ვსთხოვეთ მარა,
ვინ შეგვიბრალა, კიდევ დაგვიცინეს,
მხოლოდ სახელი შეგვჩინა, „მთხოვარა“.
შემდეგ მოვსთხოვეთ და ამ მოთხოვნას,
თუ დამიჯერებთ, იცო რა უყვეს?
აიღეს „პერო“, გაღესეს წვერი,
ხან იქ მოუღვეს, ხან აქ მოუღვეს;
ზოგს, რომელს ენა ამჩინეს გრძელი,
მყისვე ლაგამი პარში აუღვეს
და ის ხუთასი აწ და მარადის
და უკუნითი ჯიბეს ჩაიდვეს.
— „შერცხვენა მგათ! ერთი ეს მითხარ,
„კოპერატივი“ რა უყვეს განა?
ხო აყვავილდა, როგორც ველოდით,
ხომ შეიმატა, მიეცა ძალა?
მე ეს მახარებს, ჩემი სიცოცხლე
იმას შევსწირე დაეჭლექდი თანა,
მრწამა, რომ ერთ დროს ჩემს წყლულს, იარას.
დააფასებდა მთელი ქვეყანა“.
— „კოპერატივებს“? რა უნდა გითხრა!
წარმოიდგინე თქმაც მეძნელება.
ყველა დაინგრა, გაანადგურა,
ხალხის უღირსთა ვეილთა ხელლებმა.
— „უი ჩემს თავთა,“! და ჩაიკეცა,

მოხუცმა იწყო ქვითინი მწარე
და ამიების თვალით მნახველმა,
ვფიცავარ, მრავლათ ცრემლები ვღვარე.
როს გონს მოვიდა, წყნარის ხმით მითხრა:
— „რა რჯულის-იყო ამის ჩამდენი?“
— რა რჯულის? აი, კვლავ ჩვენებურნი,
ჩვენი რჯულისა, ისევ ქართველნი!
— „მაშ ჩვენებურნი, ისევ ქართველნი?
ოხ დაიწყველოს მგათ სახელი!“
„ერთი ეს მითხარ, რამდენი იყვენენ,
ან არ ვინ გაჩნდა ხელის შემშლელი“,
„როდესაც ხალხის ნაწვევ ნადაგი,—
გაანადგურეს „ოჯახი“ მთელი?“!
— ხელის შემშლელი? იქ იმერეთში?
დამიკინი განა, შენ-შენსა ღმერთსა?!
ჩვენებურები, ასეთ საქმეში,
შეარცხვენს განა მთელ ჩვენსა ერსა?
ხელის შემწყობნი კი ბლომით ჰყავდა,
ყველა შესცქერად სარგებლის თვალით
და უკაცრავათ არ დარჩენილან,
სახლში დაბრუნდნენ დიდის ნაღველით.
— „ოჰ, ასეთები, ჩემს დროსაც იყო,
მაგრამ დღეს, დღეს ხომ სულ სხვა დროია,
ძველს უმეტრებას რა ადგილი აქვს,
დღეს ხალხი მეტის მოსათხოვია...
მაშ ასე, ჩვენი „კუხის ფარდული“
არ არის არა, დანგრეულია?
ან ჩვენი გუბის „კოპერატივი“,
ჩემი სული და ჩემი გულია,
თან მისი ორი განყოფილება,
აღარ უღვია არც ერთს სულია?!
ან იმის ნაცვლათ რაღაი დარჩა,
რა არის მასზე აღმართულია?..
იქნებ პროგრესმა ის გადალახა,
ხომ იცი, ნიჭი ერთობ რთულია
და მითხარ, აგი თუ აგრე არის,
გულისთვის დიდი სიხარულია“...
— არც კუხის— გუბის— განყოფილებით,
არ არსებობენ სული დალია;
არც პროგრესს, ნაცვლათ რამ მოუტია,
წინ სვლია, ისევ შენახულია!...
ჩვენ მეზობლებმა „კოპერატივი“
ეხლა დაიწყეს მიყვეს ხელია,
თვისი თანხმობით ლა შეგნებთა,
მუშაობა აქეთ ერთობ ცხელია,
ჩვენ კი ერთ თავათ ყველა დავკარგეთ,
რაც წინ, ათი წლით, შეგვიძინია...

ანდაზა ამბობს: „უღირსი შვილი
 მშობელთა თვისთა შემარცხენია
 ფირუზის თვალი, მალაყანწათვის
 უსარგებლოა, არაფელია...
 და ჩვენაც აგრე, შენგნით ზოდენილი
 ფირუზის თვალი ვერ შევინახეთ,
 შენი სახელი, ფას დაუღები,
 ვგლახ გავსვარეთ და შეგილახეთ.
 — „მე არა მიშავს, ისევ ისა ვარ,
 მხოლოთ ვგ არის ჩემგან საწყენი,
 რომ შეუგნებლათ დაიარებით?
 და მით გამხთარხართ თავისი მტერი.
 ეხლა ვიკითხავ ამისთვის მოდი?
 სხვა ჩემგნით—გინდა ხომ არაფერი“?
 —მართალი ვითხრა, მე სხვა საქმე მაქვს
 და იმ წარსულში არარასა მოველი!


რაც ჩვენ დაგვშორდი, იმ დღიდგან წელსა
 შეგისრულდება თქვენ ათი წელი
 და ხალხისაგან—დაფნის გვირგვინი
 წამოვიღე და თანვე მოველი.
 — „ჩემი ამაგი, იმ ხალხისათვის,
 ხომ ინდოეთის „ხურმა ხილია“
 და სიქმითა სჩანს არ ნაფასებვარ,
 ჩემი ამაგი აღმოფხვრილა?!
 მაშ ხალხისაგან დაფნის გვირგვინი,
 დღეს არ ეკუთვნის ჩემს მტირალს თვალემს,
 წაიღეთ ეგე, იმას უძღვენით,
 თქვენს წამხთარ საქმეს ვინც მოავდარბს!..
 გამომეღვიძა, ზე წამოვიქერ,
 „პოლსაპოქებსა“ უშინჯავ ნალეზს,
 უნდა ვეძებო, იქნებ ვიპოვო—
 ვინც აღასრულეს ავ დანაველეს!!

ს—?


დასავლეთის ასკარაქები.



ბრძოლა ჰაერში.



ომის ბრძოლა კარპატის მკეზში.



ხუცების საუბარი.

(დაწმუთისკენ)

ვასილა შეხვდა ილიას;
 უთხრა: შენდობა მაშაო!
 როგორ ვყავს „რემლი“ გენაცვა?
 როგორ აილე ღრაპაო?

ილიამ უთხრა: -ვასილაგ
 დაგვიღვა ცუდი ხანაო!
 ეხლა ხუცობას სჯობია
 ვალო ყავახანაო.

საშოგარი ხომ კლებულობს,
 სიტყვებით გვესმის ავია...
 შიშლით ძმაო კისრიღვან
 აგერ წამწყდება თავია.

დავტოვე დემოკრატობა
 და შაფიქენი ნაკურ თხი;
 ვფიქრობდი: დამირჩებოდა
 მუღამ საკმაოთ საკურთხი.

მაგრამ სოფელში აზობენ:
 მკვდარს კამა აღარ უნდაო
 აბა დამხედე მუცელზე...
 ცარიელი მაქვს გულაო.

ვასილამ შექნა სიტყვითი
 კონტრასტის მგზავნებზე
 გადუსვა ჩოჩორს ხელეი და
 მყის შემობატა გავიხე.

გამხდარი. ომის დაწყებამდე წინდის ჩხირივით იყო და ნუ თუ მწუხარებამ გაგასუქა. მსუქანი. ასეა მუღამ. ზოგს მწუხარება ასუქებს, ზოგს ხიარულება.

ლეის-პირალი

კორესპონდენტობია.

(სამეცნიერო მიზნით)

კორესპონდენტობიას უწოდებენ ჩვენში მეტად გავრცელებულ ავადმყოფობას. იგი არ ინდობს არც ახალგაზრდას, არც ქალს, არც კაცს. მას ვერ ემალება ვერც ერთი ქართველი ადამიანი.

გამოჩენილ პროფესორთა მიკირტიჟ ყლუნწიანცისა და სოლომონ ჭყიპურტანიძის გამოკვლევით ეს ავადმყოფობა არის შემოტანილი საზღვარ გარეთიდან და გავრცელდა ჩვენს პატარა სამშობლოში მას შემდეგ, რაც იწყეს გამოსვლა ჩვენში ჟურნალ-გაზეთებმა.

პირველ ყოვლისა ავადმყოფს აუვარდება ხელის ქავილი. იგი ცდილობს როგორმე დააკმაყოფილოს თვისი ხელები სხვა და სხვა მანოპულიაციით, როგორც არის მაგალითად: ამხანაგის მუშაობით დაზღვვა, „ზარიშების“ ჩქმეტა, ხელებით სიარული, ტაშის ცემა და სხ. მაგრამ საბოლოოთ ამით ვერ კმაყოფილდება, ხანგრძლივი ფიქრისა და ცდის შემდეგ იგი იკვლევს, რომ მის ხელებს დააკმაყოფილებს მხოლოდ საწერ-კალამი. ავადმყოფი წამსვე ყიდულობს ბლომად ქაღალდს და იწყებს წერას. პროფესორი მიკირტიჟ ყლუნწიანცის გამოკვლევით აქ ამ დროს ავადმყოფს სიცხეს მისცემს და შემდეგ, მთელი ავადმყოფობის განმავლობაში ოცდა თვრამეტ გრადუსამდე სიცხე რჩება. ციებ-ცხელება არ ეჩნება. მხოლოდ თვალები აუცილებლდება, ხშირად ჩუმად რაღაცას ჩიფჩიფებს და გაფიცებულ ტუჩებს ენით ილოკავს. ხელების ქავილის გარდა აგრედვე აუვარდება კბილების ქავილი და ბუნებისაგან დაწესებულ საჭმლის გარდა ავადმყოფი ქაღალდის ნახევებსა და საწერ-კალამის თავებს ღრწის. ეს ყველა საერთო სიმპტომებია. ამის შემდეგ კი ავადმყოფობა ორნაირ ფორმად ისახვის: ერთი მათგანი გიხლავთ „რეცენზენტობია“, მეორე კი ავადმყოფობის საერთო სახელს ატარებს, ესე იგი „კორესპონდენტობია“. ზოგჯერ ორნივე ფორმა ერთად ეყრება ადამიანს.

რეცენზენტობია უფრო ადვილი გადასატანია, ვიდრე კორესპონდენტობია, რადგან ერთად ერთი საგანი, ესე იგი წარმოდგენები, რომლებზედაც ვარჯიშობს ავადმყოფი, ჩვენებური პროვინციის დრამატული საზოგადოების შემწეობით, იშვიათად იმართება, ან კიდევ სრულებით არა. რეცენზენტობით ნეულდება იგივე სცენის მოყვარე,

როდესაც იგი პიესაში მონაწილეობას ათავებს, ეწელება ხელების ქავილი და სწერს...

პირველ ყოვლისა იგი, რასაკვირველია, თვის საკუთარ პერსონას აქებს და ადიდებს.

წერის დროს ავადმყოფთან მიხსლოვება საშუაშია. მას შეუძლია იმ დროს აღმნიანი მოპკლას, რადგან ექსტაზშია და ამ ქვეყნის ცოდვა-სამართლის აღარაფერი ესმის. სწერს იგი ღიღინის, შემდეგ აწერს თვის ფსევდონიმს.

ფსევდონიმებს ამნაირად სთხზავენ. მაგალითად: თუ ავადმყოფის სახელი და გვარი ყარამან პამულაშვილია, იგი აწერს „ყარპარძიე“, ან „ყარპირ“-ს, ან კიდევ „ნამარაყ ილიგშალუპაპ“-ს.

საგრძობლად ხელს უშლიან მათ განკურნავა ჩვენი რედაქტორები. გაზაფხულის თუ არა ავადმყოფი თავის „კალმის ნაშემაკარს“ რედაქციაში, რამოდენიმე ხნის შემდეგ ისეთ პასუხს შესთავაზებენ „ფოსტის“ საშუალებით, რომ პირიდან დორბლებს აყრევიანებენ საწყალ ავადმყოფს.

ჩემის აზრით საქიროა, მათი ყოველი ნაწერი დაბეჭდილ იქნას სპეციალურ ორგანოში, რადგან ნაცადია, რომ თუ მათ ლაპარაკში არ შეყვეით და არ გააღიზიანეთ, იგინი მშვიდად არიან და ხშირად სრულიად ცნობილებიან. რეცენზენტობით ავადმყოფსაც ამგვარივე მოვლა სჭირია.

მეორე ფორმა ავადმყოფობისა, ვგრედ წოდებული კორესპონდენტობია, უფრო რთულია, ვიდრე პირველი.

ამ ჯურის ავადმყოფებისათვის საჭიროა ქუჩის ტალახი, ღვინის სარდაფები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ნარდ-კარტი გურიისა და, ამ ბოლო დროს, ომი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენში იმ ქალაქს ქალაქსარ უწოდებენ თუ იქ ქუჩებში ტალახის წუმპები და აგრეთვე სირაჯხანები არ არის. ავადმყოფსაც ეს უნდა ჩავა ნუნუს გადასაკრავოდ სარდაფ-სირაჯხანაში, კარგა რიგინად გაიჭიკება, შემდეგ ამოვა ქუჩაში და რადგან ქუჩა საკუთარი ბინა ჰგონია და წუმპე კი თვისი ლოგინი, წუმპეში ლაზათიანად ამოიგანგლება.

მეორე დღეს კი იგი თვის უკმაყოფილებას მსახავს ქაღალდზე და რედაქციისაკენ ისტუმრებს.

ყველაზე მეტი კი ჩვენ მრავალ ტანჯულ ბიბლიოთეკა სამკითხველოებს ხვდება. მათი ლანძღვისათვის ავადმყოფებს რამოდენიმე სისტემა აქვთ დაწესებული.

ვეროპის ომმა მათ ნაწერებზედაც იმოქმედა, იგინი ხშირად ხმარობენ სხვა და სხვა სამხედრო სიტყვებს, მაგალითად: სტრატეგია, ტაქტიკა, კონტრ-იერიში და სხვა.

კორესპონდენტობით ავადმყოფებს აგრეთვე ჩანერგული აქვთ ქვეაში, თითქო სამედიცინორო სამართალი მარტო მათთვის იყოს გამოგონილი და ამიტომ იგინი წამდა უწუმ მას მიმართავენ. ძალ-ღობა რომ დაუღრინოს ავათმყოფს იგი წამსვე ზიზ-ლით მიუბრუნდებდა ოთხფეხ თაეხედს და რიხიანი ხმით შესძახებს:

— გიწვევ სამედიცინორო სასამართლოში, რად-გან შენი ქცევა ჩემი პიროვნების დამცირებაა... ჩემის მხრივ მედიცინობად ვნიშნავ ყლუნწი ყან-წაძეს და ჰყურტი ნუნუაშვილს... ვადას გაძლევ ორ კვირას...

ამ რიგად, ბატონებო, საჭიროა ადრევე მივი-ლოთ შესაშერი ზომები და გამოცდილი ექიმების დახმარებით შევეუდგეთ ამ ეპიდემიის აღმოფხვრას, ან შესუსტებას, რადგან იგი გასაოცარი სისწრაფით ეღება ჩვენს პატარა სამშობლოს და ბევრ ჯან-ღონით საფხე ადამიანს ასწეულებს.

გამოკვლეულია, რომ ამ ორი თვის წინედ ოთხმოცდა ცხრამეტ ნახევარი პროცენტი ქართვე-ლებისა კორესპონდენტობით იტანჯებოდა, ასე რომ ას კაცზე ნახევარი კაცი და არის ჯან-სალი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნახევარ კაცსაც მალე იმსხვერპლებს უღმობელი ეპიდემია.

დიდი სიფრთხილე ვმართებს ჯან-სად ადამიანს. იგი არ უნდა გაეკაროს არც ერთ ქართულ ქურნალ-გაზეთს. ბიბლიოთეკაში შესვლისაგან ღმერთმა დაი-ფაროს!..

აგრედვე იგი მუდამ იმის ცდაში უნდა იყვეს, რომ არ დაუახლოვდეს კორესპონდენტობით ავა-დ-მყოფს.

მხოლოდ ამ ზომებით იქნება ის დაზღვეული საზარელ ეპიდემიისაგან.

ფურჩვე ყველას, თავისსავე სასარგებლოდ, რომ დაუყონებლივ მიმართონ ექიმს, თავის მახლობლბ-ზე ავადმყოფობის პირველივე სიმპტომების აღმო-ჩენის შემდეგ, ესე იგი მაშინ, როცა ავადმყოფი დაიწყებს ღრიალს: „ხელი, ხელი მექაეება! გამე-ცალეთ, მიშველეთ, ქალაღი მომიტანეთ“—და სხვა. მხოლოდ ექიმის მოსვლამდის შეიძლება ში-

ნაური ზომები იხმაროთ. ავადმყოფი ხეზე მაგრად მიაბით თოკებით და ცივ წყალში დასველეული ტილოებით დაუზილეთ ხელები და კეფა. არ იქნე-ბა ცუდი, რომ ფეხებიც დაუზილოთ, რადგან ყო-ფილა შემთხვევები, რომ ავადმყოფს ფეხების ქაი-ლიც ასტეხია და ფეხებით უწერია კიდეც, ამ ჯაან-სკნელით აიღსნება ის, რომ ხშირად ჩვენს ქურ-ნალ-გაზეთებში მოთაგებულ რეცენზიებს და კო-რესპონდენტციებს რაღაც მყარალი, ფეხის ოფლის სუნი ასდის ხოლმე.

ერიდეთ, ბატონებო, ერიდეთ კორესპონდენ-ტობით დასწელებას, რადგან იგი უსაშინელესი ავადმყოფობაა და მისგან სრულებით განკურნება მეტად ძნელია...

ყოფილი პროფესორი მის აღმატებულების უჯოჯოხეთეს ტარტაროზის სახელობის უნივერსი-ტეტისა.

გუგული.



ჭიკ-ჭიკას. „ბ-ნო რექტორო! ამთავით ეს ერთი ლექსი დავწერე და თუ დამიბეჭდათ, შემ-დეგ სხვებსაც დავწერ და გამოგიგზავნი“

აი ლექსი:

„გულში ცრემლი ამიღულდა და საშინლათ ვფრქვევ მებსებს როდის უნდა ბოლო მოეღოს ამ ნიაღვრებს ციდან მჭებრებს...“

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით, დაე მკითხველმა გასინჯოს: შეგიძლიათ, თუ არა „ამ თავით“ ლექ-სების წერა.

სიღონის.

„გაიხედავ, დანახავ სასწაული ბრეული ხდება... ჩემი გული დაბრაკული ნეტავ როის გასაღდება.“

მართლაც რომ სასწაულების ხანაში ვცხოვ-რობთ. იმედი ვიქონიოთ თქვენი გულის გასაღები-სა, მაგრამ თქვენი ლექსების გასაღების საქმე ყო-ვლად უნდგეშო მდგომარეობაშია. ყოველ შენთხვე-ვაში ჩვენს ქურნალი ვერ იკისრებს მათ გასაღებას.

ქალაქ თფილისში

გამოდის უოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.
 „ეშმაკის მათრახი“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოღანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
 Олгинская 6,
 Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



საქართველოს კონფედერაციისთვის დასაბრუნებლად გაუზიარებლად მოვიგონებთ უცნაურ და სიბრძნეობრივ წერილებს რედაქციას დაგისწავს. შეზარეულნი ვართ, რომ თქვენს ჟურნალში ჩვენი წერილები დაიბეჭდეს. თქვენს ჟურნალში ჩვენი წერილები დაიბეჭდეს. თქვენს ჟურნალში ჩვენი წერილები დაიბეჭდეს.

ნებადართულია საშხ. ცუხ'ზორ. სტამბა აშხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე